გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი №6

17 ივნისი, 2010 წ. ქ. გურჯაანი

სხდომას უძღვებოდა საკრებულოს უხუცესი წევრი ნოდარ ღლიღვაშვილი.

ესწრებოდნენ: ზ. იაგანაშვილი, ალ. სირბილაშვილი, ხ. ჭონიაშვილი, ლ. გაბიტაშვილი, დ. ბეჟაშვილი, გ. ენუქიძე, ვ. ელიზბარაშვილი, გ. ბერიკაშვილი, ა. ზარდიაშვილი, ალ. შანყულაშვილი, ნ. მურაკაშვილი, შ. გაბახაძე, ი. ნატროშვილი, კ. ნაპირელი, ე. ბოკუჩავა, ზ. მახარობლიშვილი, მ. ძამუკაშვილი, პ. ჯოხაძე, ნ. ბახლიშვილი, ი. ჩიტაშვილი, დ. ლიპარტაშვილი, მ. მუღალაშვილი, პ. გველუკაშვილი, ზ. მინდორაშვილი, რ. არდაზიშვილი, ზ. დოიაშვილი, ალ. ინანაშვილი, ბ. ზირაქაშვილი, ზ. ბადრიაშვილი, ალ. ზირაქაშვილი, ვ. მამისაშვილი, მ. ჩიბარაშვილი.

მოწვეული სტუმრები: ნ. ბეგაშვილი – გურჯაანის №12 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
შ. უტიაშვილი – მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

პრესის, ტელევიზიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

2. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის და მოადგილის არჩევის შესახებ;

3. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

სხდომა გახსნა გურჯაანის №12 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ნატალია ბეგაშვილმა. მან დამსწრეთ მოახსენა 2010 წლის 30 მაისს გურჯაანის რაიონში ჩატარებული საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნების შედეგების შესახებ. აღნიშნა, რომ ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაა 56 025. არჩევნებში მონაწილეთა საერთო რაოდენობა – 23 575. პარლამენტის წევრად არჩეულია გიორგი ჩივიაშვილი. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობაა:

№2 – „ალიანსი საქართველოსთვის“ – 929 (4,1%);
№3 – თოფაძე-მრეწველები – 659 (2,9%);
№5 – პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 15 538 (68,6%);
№7 – „ეროვნული საბჭო“ – 1 551 (6,8%);
№8 – სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია – 370 (1,6%);

№10 – „გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ – 3 402 (15,0%);
№19 – ძალოვანი ვეტერანების, პატრიოტთა და პენსიონერთა პოლიტიკური მოძრაობა „მამულიშვილი“ – 45 (0,2%);
№21 – „თორთლაძე-დემოკრატიული პარტია“ – 84 (0,4%);
№23 – მოქალაქეთა პოლიტ. გაერთიანება „სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი“ (სსსა) – 76 (0,3%).

ნ. ბეგაშვილმა აქვე დასძინა, რომ არც ერთ საარჩევნო უბანზე დამატებითი ან/და განმეორებითი არჩევნები არ დანიშნულა. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს 33 წევრი უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას.

ამის შემდეგ, საკრებულოს სხდომას წარუძღვა საკრებულოს უხუცესი წევრი, ნ. ღლიღვაშვილი.

იგი მიესალმა სხდომაზე დამსწრეთ. საკრებულოს ყველა წევრს მიულოცა არჩევნებში გამარჯვება და მოუწოდა ნდობის გამოცხადების გამართლებისა და ამ საპატიო მისიის სრულყოფილად შესრულებისკენ.

ამის შემდეგ კი, ნ. ღლიღვაშვილმა სხდომის წევრებს შეახსენა პროცედურები. კერძოდ, რომ უნდა აირჩეს ხმის დამთვლელი და სამანდატო კომისიები, რომლებიც იმუშავებს სხდომის განმავლობაში საკრებულოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არჩევის პროცესში.

საკრებულოს წევრების მიერ კანდიდატურათა დასახელების შემდეგ, კენჭი უყარეს ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობას. კერძოდ:

1. ალ. ინანაშვილი
2. ლ. გაბიტაშვილი
3. ვ. ელიზბარაშვილი

დაადგინეს:

დამტკიცდეს ხმის დამთვლელი კომისიის წარმოდგენილი შემადგენლობა. /მომხრე – 31, წინააღმდეგი – 2 (ნ. მურაკაშვილი, შ. გაბახაძე)/

საკრებულოს წევრთა მიერ კანდიდატურათა დასახელების შემდეგ კი, კენჭი უყარეს სამანდატო კომისიის შემადგენლობას.

1. გ. ენუქიძე
2. ხ. ჭონიაშვილი
3. დ. ბეჟაშვილი

დაადგინეს:

დამტკიცდეს სამანდატო კომისიის წარმოდგენილი შემადგენლობა. /მომხრე – 31, წინააღმდეგი – 2 (ნ. მურაკაშვილი, შ. გაბახაძე)/

ხმის დამთვლელი კომისიისა და სამანდატო კომისიის წევრები 10 წუთით გავიდნენ სხდომის დარბაზიდან, რის შემდეგაც წარმოადგინეს კომისიის ოქმები. (თან ერთვის).

პროცედურული საკითხების მოგვარების შემდეგ, ნ. ღლიღვაშვილმა სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული განსახილველი საკითხები.

მოისმინეს:

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

ნ. ღლიღვაშვილმა აღნიშნა, რომ სამანდატო კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნის თანახმად, კომისიას შენიშვნები არ გააჩნია და საკრებულო უფლებამოსილია, შეუდგეს საქმიანობას.

ნ. ღლიღვაშვილმა საკითხი დააყენა კენჭისყრაზე, რის შედეგადაც

დაადგინეს:

ცნობილ იქნას გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება.
/მომხრე – 33, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

2. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

ნ. ღლიღვაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად დააყენა ზაქარია იაგანაშვილის კანდიდატურა, რაზეც კანდიდატმა განაცხადა თანხმობა. მან ზ. იაგანაშვილი დაახასიათა დადებითად, რის გამოც ის მიიჩნევს, რომ სწორედ მან უნდა დაიკაოს აღნიშნული თანამდებობა. საკრებულოს წევრებისადმი მიმართვის მიუხედავად, სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა. ამიტომ, კენჭი უყარეს ზ. იაგანაშვილის კანდიდატურას.

დაადგინეს:

არჩეულ იქნას ზ. იაგანაშვილი გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე. /მომხრე – 31, წინააღმდეგი – 2 (ნ. მურაკაშვილი, შ. გაბახაძე)/

ზ. იაგანაშვილი მიესალმა დამსწრეთ, მადლობა გადაუხადა კოლეგებს ნდობის გამოცხადებისათვის და წარმატებები უსურვა ყველას. ამის შემდეგ მან დაასახელა თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურა – ალექსანდრე სირბილაშვილი.

კენჭისყრის შედეგად

დაადგინეს:

არჩეულ იქნას ალ. სირბილაშვილი გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ. /მომხრე – 31, წინააღმდეგი – 2 (ნ. მურაკაშვილი, შ. გაბახაძე)/.

მოისმინეს:

3. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

ზ. იაგანაშვილმა მოახსენა სხდომაზე დამსწრეთ, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჭიროა საკრებულოს თანხმობა, რომ თავმჯდომარემ დანიშნოს მუნიციპალიტეტის გამგებელი. მან, საკრებულოს წევრებს, გამგებლის თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგინა შოთა უტიაშვილის კანდიდატურა.

კენჭი უყარეს საკითხს.

დაადგინეს:

მიეცეს თანხმობა გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე შოთა უტიაშვილის დანიშვნაზე. /მომხრე – 31, წინააღმდეგი – 2 (ნ. მურაკაშვილი, შ. გაბახაძე)/.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: **ზაქარია იაგანაშვილი**